



ინფორმაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის სასამართლო პრაქტიკის შესახებ

1. შესავალი
2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი:
 - 2.1 საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები
 - 2.2 მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები
3. დასკვნა

1. შესავალი

2012 წლის განმავლობაში სულ განხილულია 1191 საკასაციო საჩივარი, აქედან გაუქმდა 95 საქმე, მათ შორის:

– თბილისის სააპელაციო სასამართლოს 62 საქმე (აღნიშნულ საქმეებზე სარჩელები განიხილეს: თბილისის საქალაქო სასამართლომ – 53, რუსთავის საქალაქო სასამართლომ – 1, გორის რაიონულმა სასამართლომ – 3, დედოფლისწყაროს მაგისტრატმა სასამართლომ – 1, თელავის რაიონულმა სასამართლომ – 1, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ – 1, ახმეტის მაგისტრატმა სასამართლომ – 1, ლაგოდეხის მაგისტრატმა სასამართლომ – 1);

– ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 33 საქმე (აღნიშნულ საქმეებზე სარჩელები განიხილეს: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ – 10, ბათუმის საქალაქო სასამართლომ – 10, ფოთის საქალაქო სასამართლომ – 1, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ – 5, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ – 2, ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ – 2, საჩხერის რაიონულმა სასამართლომ – 1, სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ – 1, მესტიის მაგისტრატმა სასამართლომ – 1).

2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი

2.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები

სასამართლოს შეცდომა (განსჯადობის წესების დარღვევა, ასკ-ის მე-2, 26-ე და სსკ-ის მე-11 მუხლები):

დავა ეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოს მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ქუთაისის სააპელაციო

სასამართლომ (№28/529 29.06.11) ოზურგეთის რაიონული სასამართლოს (22.03.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არ იმსჯელა განსჯად სასამართლოზე, რომელსაც, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება, რითაც დაირღვა ასკ-ის მე-2 და 26-ე მუხლებით, ასევე სსკ-ის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: დავის განსჯადობის საკითხის გასარკვევად გადამწყვეტია იმის გარკვევა, დადებულია თუ არა ზემოაღნიშნული ხელშეკრულება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოს მიერ მის უშუალო საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციის განხორციელების მიზნით. ვინაიდან დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საჯარო უფლებამოსილებას წარმოადგენს დაცვა და სწორედ ამ მიზნით დაიღო მხარეთა შორის ხელშეკრულება, სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან და, შესაბამისად, განსახილველი საქმე წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს. ამდენად, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში, განსჯადობის წესების დაცვით საქმის ადმინისტრაციული პალატიისათვის გადაცემის საკითხის გადასაწყვეტად (განჩინება №-ას-1178-1198-2011 12.03.12).

– განსჯადობის წესები ასევე დარღვეულია ქვემოთ მითითებულ განჩინებებზე: №ას-953-896-2012 19.11.12; №ას-1405-1326-2012 20.11.12; №ას-1392-1313-2012 20.11.12; №ას-180-173-2012 03.07.12;

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: 28/2043-11 31.10.11;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: 28/968 26.09.12; №2/8-849 04.09.12; №28/960 13.12.11;

გადაწყვეტილება მიიღეს შემდეგი პირველი ინსტანციის სასამართლოებმა: თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/11693-10 21.02.11); ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (№2/1-55 06.02.03); (№2/557-12 26.06.12); ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ (№2-221-11 24.06.11).

სასამართლო შეცდომა (სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის, სსკ-ის 53-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№28/1299-11 22.03.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს (№2-502/11 28.09.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საქმის განხილვისას არასწორად გაანაწილა სახელმწიფო ბაჟი მხარეთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მხარეების მიერ გაწეული საპროცესო ხარჯი სრულად დააკისრა ერთ მხარეს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზეც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის

სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-728-684-2012 10.09.12).

სასამართლოს შეცდომა (მტკიცების ტვირთი, სსკ-ის 102-ე მუხლი):

სადავოა უსაფუძვლოდ გადახდილი ელექტროენერგიის საფასურის თანხის დაკისრება და ზიანის ანაზღაურება. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1419-11 30.06.11), თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/5697-07 26.12.08) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, დაარღვია სსკ-ის 248-ე და 377-ე მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან გასცდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებს და მხარეს მიაკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. ამავე საქმეზე სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნათა უგულებელყოფით არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ზემოთ მითითებული ნორმები დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა. სასამართლო შებოჭილია მოსარჩელის (აპელანტის) მოთხოვნის ფარგლებით. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კი, მოსარჩელეს განმეორებით დაეკისრა იმ თანხის გადახდა, რაც მას ერთხელ უკვე ჰქონდა დაკისრებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. მოპასუხე სადავოდ ხდიდა ასევე მოსარჩელის მიერ ელექტროენერგიის ტრანზიტის საფასურის გადახდის ფაქტს, რომლის მტკიცების ტვირთიც სააპელაციო პალატამ არასწორად დააკისრა მოპასუხეს, მაშინ, როდესაც სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელეს უნდა წარმოედგინა, ვინაიდან იგი თავის მოთხოვნას, სწორედ, ამ ფაქტობრივ გარემოებაზე აფუძნებდა. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 411-ე მუხლით, მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-1158-1178-2011 16.07.12).

სასამართლოს შეცდომა (მტკიცებულებათა შეფასება, სსკ-ის 105-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1310-2011 14.03.12) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№2/1481-10 12.10.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას სადავო მიწის ნაკვეთზე საზიარო უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით, სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, არასწორად დაადგინა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებანი, არასწორად გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებანი და შემდეგ სამართლებრივად არასწორად შეაფასა, რის შედეგადაც საერთო სარგებლობის ფართი არასწორად გაიყო და მხარეს წაერთვა სველი წერტილით სარგებლობის უფლება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება არ არის დადგენილი სსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად შეფასების შედეგად. გაურკვეველია, რა საფუძველით მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ, რომ

სადავო მიწის ნაკვეთები მთლიანად იმყოფებოდა მხარეთა ინდივიდუალურ სარგებლობაში მაშინ, როცა მოსარჩელის სახლში მცხოვრები პირები მუდმივად სარგებლობდნენ მოპასუხის სარგებლობაში არსებული სველი წერტილით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნა იმავე სასამართლოს მტკიცებულებების ხელახლა შესწავლისა და შეფასების მიზნით (განჩინება №ას-766-719-2012 26.07.12).

– სსკ-ის 105-ე მუხლი დარღვეულია შემდეგ საქმეებზე: №ას-1435-1450-2011 06.02.12; №ას-1341-1359-2011 23.02.12; №ას-6-6-2012 23.03.12; №ას-1240-1260-2011 07.02.12; №ას-746-702-2012 31.10.12; №ას-952-895-2012 18.10.12; №ას-1320-1340-2011 31.01.12; №ას-1194-1123-2012 22.11.12; №ას-484-485-2012 27.09.12; №ას-487-461-2012 17.07.12; №ას-1030-965-2012 19.11.12; №ას-1083-1014-2012 28.11.12; №ას-1220-1240-2011 21.02.12; №ას-1685-1671-2011 29.05.12; №ას-733-689-2012 23.10.12; №ას-903-848-2012 04.10.12; №ას-1373-1390-2011 21.05.12; ას-1701-1685-2011 22.10.12; №ას-819-771-2012 12.09.12; №ას-579-547-2012 12.10.12; №ას-833-781-2012 23.10.12; №ას-211-204-2012 19.07.12; №ას-1058-992-2012 14.11.12; №ას-713-669-2012 16.07.12.

იგივე შეცდომაა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2ბ/1268-11 07.06.11; №2ბ/303-12 05.04.12; №2ბ/619-11 15.06.11; №2ბ/1852-10 06.06.11; №2ბ/2350-12 11.07.12; №2ბ/3375-11 31.01.11; №2ბ/4239-11 26.01.12; №2ბ/1171-12 03.07.12; №2ბ/910-11 23.06.11; №2ბ/2098-09 03.10.11; №2ბ/86-12 14.03.12; №2ბ/1684-11 04.10.11; №2ბ/35-12 05.04.12; №2ბ/4144-11 26.04.12; №2ბ/1481-12 14.06.12.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2ბ/462 25.07.11; №2/ბ-589 02.11.11; №2ბ/455-12 24.05.12; №2ბ/383 08.05.12; №2/ბ-234 20.06.11; №2ბ/1035 21.11.11; № 2/ბ-1263 22.02.12; №2/ბ-295 03.04.12.

გადაწყვეტილებები მიიღეს შემდეგმა პირველი ინსტანციის სასამართლოებმა: თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/3895-10 28.02.11; №2/2816-11 15.12.11; №2/907-11 31.03.11; №2/4201-10 05.01.11; №2/682-09 23.02.10; №2/4462-09 18.03.10; №2/7784-11 31.10.11; №2/5132-07 03.03.10; №2/8304-10 02.02.11; №2/2364-08 14.04.09; №2/7164-11 24.11.11; №2/12186-10 16.03.11; №2/1316-2011 28.10.11; 32/5685-11 05.08.11; №2/12598-11.31.01.12); ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (№2/1476-10 30.03.11; №2/1225-2010 27.04.11); ახმეტის მაგისტრატმა სასამართლომ (№2/21-12 04.05.12); ბათუმის საქალაქო სასამართლომ (№2-206-2011 12.03.12; №2-1557/11 30.12.11; №2-1053/10 21.01.11; №2-598-11 20.07.11; №2-722/11 07.09.11); ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ (№2/53-10 09.12.11).

სასამართლოს შეცდომა (ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას, სსკ-ის 106-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/921 11.10.11) ბათუმის საქალაქო სასამართლოს (№2-483-11 01.07.11) გადაწყვეტილებაზე შომოსული საჩივრის განხილვისას არასწორად გამოიყენა სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და პრეიუდიციულად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები, მიუხედავად იმისა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა და განსახილველი საქმის მხარეები არ იყვნენ ერთი და იგივე პირები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: განსახილველი მუხლის მიხედვით, პრეიუდიციული მნიშვნელობა გააჩნით, მხოლოდ იმ ფაქტებს, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო

საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-1705-1689-2011 04.06.11).

სასამართლოს შეცდომა (საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, სსკ-ის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-911 27.08.12) მესტიის მაგისტრატის მოსამართლის (№2/34-12 25.07.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა სსკ-ის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, როდესაც მესტიის ცენტრის რეაბილიტაცია საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ხსენებული მუხლის მიზნებისათვის ფაქტის „საყოველთაოდ ცნობილობა“ სუბიექტური შეფასების საგანი არაა. ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ, ობიექტური გარემოებების შედეგად, მის შესახებ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ინფორმირებული. როგორც ცნობილია, ადამიანებს, თავიანთი ასაკის, სოციალური თუ სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინებით, განსხვავებული ინტერესები გააჩნიათ და განსხვავებულ ინფორმაციაზე მიუწვდებიან ხელი. შესაბამისად, იმისათვის, რომ კონკრეტული ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად ჩაითვალოს, უნდა შეფასდეს მისი გავრცელების ფორმა, არეალი და მნიშვნელობა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საყოველთაოდ ცნობილად ისეთი ფაქტი შეიძლება მივიჩნიოთ, რომელზეც ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ადამიანს ერთნაირად მიუწვდება ხელი და თითოეულ მათგანს ერთნაირად შეიძლება, მოეთხოვოს მისი ცოდნა, ასაკისა თუ სტატუსის მიუხედავად. საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-1320-1246-2012 12.12.12).

სასამართლოს შეცდომა (იურიდიული ინტერესი, სსკ-ის 180-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს (№2ბ/968-11 27.10.11) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (№2/754-11 26.07.11) შემოსული საჩივრის განხილვისას შეფასების გარეშე დარჩა ის ფაქტი, რომ სარჩელით სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული მოსარჩელის იურიდიული ინტერესი არ იკვეთებოდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 180-ე მუხლის განმარტებით, აღიარებითი სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე შეზღუდულია იურიდიული ინტერესის არსებობით, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, ჩაითვალოს გამართლებულად და გახდეს აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, თუ დასაბუთებულია, ანუ, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, იკვეთება მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა. აღიარებითი მოთხოვნის დასაბუთებულობაზე მსჯელობისას უნდა არსებობდეს სწორედ ამგვარი ინტერესი და არა ის, რასაც სუბიექტური დამოკიდებულების შედეგად მხარე საკუთარ იურიდიულ ინტერესად მიიჩნევს. ისეთ პირობებში, როდესაც არ არსებობს მხარის მიერ მითითებული ინტერესის დაკმაყოფილების წინაპირობა, საფუძველი ეცლება აღიარებით მოთხოვნას. ამდენად, აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილებაზე მსჯელობისას უნდა იქნეს შეფასებული მისი იურიდიული ინტერესის მართებულობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-1790-1767-2011 22.03.12).

სასამართლოს შეცდომა (შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები, სსკ-ის 232¹-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1874-12 31.10.12) დედოფლისწყაროს მაგისტრატის სასამართლოს (№2/1-12 29.03.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივარი მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენის გარეშე განიხილა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: შესაგებლის შეტანა მხარის დისპოზიციურ უფლებათაგან ერთ-ერთია, მაგრამ მისი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შეუტანლობა საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, სსკ-ის 232¹-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს უნდა განეხილა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და შეეფასებინა, აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებდა თუ არა. ამდენად, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს (**განჩინება №ას-1532-1435-2012 24.12.12**).

სასამართლოს შეცდომა (შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები, სსკ-ის 232¹-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2378-12 24.10.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2-459 2-12 11.05.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად გამოიყენა სსკ-ის 232¹-ე მუხლი და არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სავალდებულოა სასამართლო შეტყობინების ჩაბარების წესის განუხრელი დაცვა და იმის უტყუარად დადგენა, მხარე იყო თუ არა სათანადოდ ინფორმირებული საპროცესო მოქმედების განხორციელების აუცილებლობის თაობაზე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირველი წინაპირობა – მხარეს დადგენილი წესით არ ეცნობა საქმის გარემოებები და ის სათანადოდ არ იყო ინფორმირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე, რაც საკმარისია ამ გადაწყვეტილების გაუქმებისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს (**განჩინება №ას-1453-1371-2012 25.12.12**).

სასამართლოს შეცდომა (სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები, სსკ-ის 248-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/3092-11 08.02.12) გორის რაიონული სასამართლოს (№2/278-11 29.06.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას დაარღვია სსკ-ის 248-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა, კერძოდ, თავისი გადაწყვეტილებით მხარეს მიაკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ხსენებული მუხლით დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები. სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა (**გადაწყვეტილება №ას-476-450-2012 18.05.2012წ**).

– ანალოგიურია საქმე №ას-1329-1249-2011. 03.02.12; №ას-1264-1284-2011. 04.06.12; №ას-107-103-2012. 21.06.12.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №28/616-11 31.05.11; №28/322-11 30.05.11; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2/ბ-1159. 01.12.11.

გადაწყვეტილებები მიიღეს შემდეგმა პირველი ინსტანციის სასამართლოებმა: თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/375 11.01.11; №2/2876-10 29.12.10); საჩხერის რაიონულმა სასამართლომ (№2/51-10 16.07.10).

სასამართლოს შეცდომა (დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები, სსკ-ის 387-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№28/998-2011 10.11.11) ბათუმის საქალაქო სასამართლოს (№2/695-2011 29.07.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის კანონიერება დაასაბუთა სსკ-ის 387-ე მუხლის მეორე ნაწილზე მითითებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სასარჩელო მოთხოვნა არ იყო იურიდიულად დასაბუთებული და დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლოს არ უნდა მიეღო. სასამართლომ არ მოახდინა დაუსწრებელი გადაწყვეტილებისათვის აუცილებელი, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სწორი იურიდიული შეფასება. ამდენად, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს (განჩინება №ას-1707-1691-2011 28.05.12).

სასამართლოს შეცდომა (ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, სსკ-ის 380-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№28/85 22.03.11) ბათუმის საქალაქო სასამართლოს (№2-1286-10 16.11.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას გასაჩივრებული საოქმო განჩინებით ისე დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა ახალი მოწმეების დაშვების თაობაზე, რომ არ იმსჯელა, გააჩნდა თუ არა აპელანტს სააპელაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულების წარდგენის საპატიო მიზეზი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სასამართლოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული სსკ-ის 380-ე მუხლის მოთხოვნა, რომელიც ეხება ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენას სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა გააჩნდა თუ არა აპელანტს სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულების წარდგენის სსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს (განჩინება №ას-889-932-2011 12.03.12).

სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/1124-11 31.05.11) ლავოდეხის მაგისტრატი სასამართლოს (№2/121-10 15.02.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად გამოიყენა სსკ-ის 385-ე მუხლი და საქმე დააბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად, სასარჩელო მოთხოვნის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესის დადგენის მიზნით.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: გასაჩივრებული განჩინებები არ შეიცავს კონკრეტულ მითითებას სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავო საკითხის თავად გამორკვევისა და სამართლის ნორმის შეფარდების შეუძლებლობაზე, რამაც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობა განაპირობა. უპირველეს ყოვლისა,

გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროცესუალური შესაძლებლობა: რა პროცესუალური გარემოებები მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის უკან დაბრუნებაზე; ამ გარემოებების გათვალისწინებით, რამდენად მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება და ხომ არ გამოიწვევს ეს საქმის უსაფუძვლო გაჭიანურებას. ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, პირველ ინსტანციაში გადააგზავნოს საქმე, თუ მნიშვნელოვნად დაირღვა საპროცესო კანონები, რაც ართულებს საქმის განხილვას სააპელაციო სასამართლოში. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, სსკ-ის 180-ე მუხლში აღნიშნული იურიდიული ინტერესის არსებობის განსაზღვრა წარმოადგენს სამართლებრივი შეფასების კატეგორიას, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს თვითონ შეეძლო, გამოეტანა გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-1118-1145-2011 10.01.12).

– სსკ-ის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა ასევე დარღვეულია საქმეზე №ას-497-470-2012 22.05.12 და №ას-657-618-2012 10.12.12.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2ბ/3973-11 22.02.12; №2ბ/127-12 28.03.12.

გადაწყვეტილებები მიიღეს შემდეგმა პირველი ინსტანციის სასამართლოებმა: თელავის რაიონულმა სასამართლომ (№2/282 26.08.11); თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/9063-11 30.11.11).

სასამართლოს შეცდომა (გადაწყვეტილების შინაარსი, სსკ-ის 249-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლოს (№2ბ/847-11 05.07.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/1295-10 02.02.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას სადავო ურთიერთობა სამართლებრივად არ შეაფასა, კერძოდ, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არა არის მოცემული მხარეთა შორის არსებული დავის იურიდიული შეფასება (გადაწყვეტილება არ შეიცავს მითითებას იმ კანონებზე, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა).

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ეს გარემოება გამორიცხავს, სსკ-ის 404-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 249-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სამოტივაციო ნაწილი წარმოადგენს გადაწყვეტილების იურიდიულ დასაბუთებას. სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივ საფუძველს უნდა დაემყაროს ან უნდა მიუთითოს იმ მატერიალურ სამართლებრივ ნორმებზე, რომლებითაც დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ფასდება (განჩინება №ას-1323-1343-2011 08.10.12).

– ანალოგიურია საქმე №ას-1363-1381-2011 31.01.12.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2ბ/1699-11 20.07.11.

გადაწყვეტილება მიიღო გორის რაიონულმა სასამართლომ (№2/889-10 29.03.11).

სასამართლოს შეცდომა (სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსი, სსკ-ის 390-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/-688 21.09.11) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს (№3/74 28.04.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას

დაარღვია სსკ-ის 390-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა. სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მხოლოდ მათზე მითითებით შემოიფარგლა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 390-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ, თუმცა, ამგვარი დასაბუთებით არ უნდა დაირღვეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, ეს შეფასებები და დასკვნები შეიძლება, არ გაიძეოს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე მითითებით. სასამართლო ვალდებულია, დაასაბუთოს, თუ რატომ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და მათ სამართლებრივ შეფასებებთან დაკავშირებით. ამდენად, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ას-1579-1578-2011 26.03.12**).

– ანალოგიურია საქმე №ას-656-617-2012 14.05.12.

იგივე შეცდომა დაშვებულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ №2ბ/196 14.03.12. გადაწყვეტილება კი ფოთის საქალაქო სასამართლომ მიიღო (№2/428 07.12.11);

სასამართლოს შეცდომა („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი)

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/983-2011 21.12.11) ქუთაისის რაიონული სასამართლოს (№2/983-2011 04.10.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას ყადაღადადებული ნივთების კასატორებისადმი კუთვნილების ფაქტის დასადასტურებლად და სარჩელის დასაკმაყოფილებლად მხოლოდ მოწმის ჩვენება არ მიიჩნია საკმარისად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი ცხადყოფს, რომ ყადაღა შეიძლება, დაედოს მხოლოდ მოვალის კუთვნილ მოძრავ ქონებას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის დანაწესი იცავს იმ პირთა უფლებებს, რომელთა საკუთრების ობიექტი გარკვეული ცდომილების შედეგად მიიჩნევა მოვალის ქონებად, (აღსრულების საგნად). ასეთ ვითარებაში, აღსრულების საგანზე უფლების მქონე მესამე პირი სარგებლობს უფლებამოსილებით, აღძრას სასამართლოში სარჩელი მოვალისა და კრედიტორის წინააღმდეგ და მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება. საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა სსკ-ის 151-ე მუხლი და მიიჩნია, რომ მთავარი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად საკუთვნილების მესაკუთრედ მიიჩნევა. საცხოვრებელ ბინაში არსებული ავეჯი განკუთვნილია მისი სამსახურისათვის და დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით. საქმის მასალებით დასტურდება და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საცხოვრებელი ბინა რეგისტრირებულია მოსარჩელის სახელზე, შესაბამისად, ივარაუდება, რომ ამ ბინაში განთავსებული ნივთების მესაკუთრე და კეთილსინდისიერი მფლობელი მოსარჩელეა. (**გადაწყვეტილება №ას-262-253-2012 25.06.12**).

2.2 მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები

სასამართლოს შეცდომა (ხანდაზმულობის ვადის დაწყება, სკ-ის 130-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2577-111 20.02.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/2/4994 23.06.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად ათვალა ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: აღნიშნული ვადის სწორად გამოთვლისათვის მნიშვნელოვანია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. სკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ნორმის აღწერილობითი ნაწილის მითითება – როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო, არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ გარემოების შეტყობა რაიმე განსაკუთრებულ ფაქტს ან მოვლენას უნდა უკავშირდებოდეს, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი, პრაქტიკულად, ერთმანეთის თანხვედრია და ორიენტებულია კრედიტორის ობიექტურ აღქმაზე ვალდებულების დარღვევის მიმართ. ამასთანავე, მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორზე მაშინ შეიძლება დაყრდნობა, თუ სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია ობიექტური ფაქტორის განსაზღვრა (**გადაწყვეტილება №ას-547-515-2012 11.06.12**).

– ანალოგიურია საქმე №ას-1580-1579-2011 03.05.12;

იგივე შეცდომა დაშვებულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ №2/ბ-653 07.09.11; გადაწყვეტილება კი ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიიღო (№2-200-11 17.05.11).

სასამართლოს შეცდომა (მფლობელობითი გირავნობის უფლების შეწყვეტა, სკ-ის 272-ე მუხლის მეორე ნაწილი):

საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელეს მფლობელობით გირავნობაში ჰქონდა ნივთი, შემკვეთის (მოპასუხის) მიერ შეკეთების თანხის გადაუხდელობის გამო. მიუხედავად აღნიშნულისა, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამოღების შესახებ დადგენილების საფუძველზე მოსარჩელისგან ამოღებულ იქნა სადავო ნივთი, ხოლო, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის გამო სადავო ავტომანქანა დაუბრუნდა მოპასუხეს. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/4087-11 30.01.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/7578-11 14.11.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობდა სკ-ის 634-ე მუხლის შინაარსიდან, დააკმაყოფილა ნაწილობრივ, აღიარებულ იქნა მოსარჩელის პირველი რიგის გირავნობის უფლება სადავო ნივთზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ზემოაღნიშნულის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველმა სასამართლომ მოპასუხე ჩათვალა უფლებამოსილ პირად, მიეღო ნივთი მფლობელობაში. აღნიშნულის გამო, მითითებული მომენტისათვის, იგი არ შეიძლება არამართლზომიერ მფლობელად განვიხილოთ. სამართლებრივად მითითებული გარემოება ნიშნავს დამგირავებლისათვის ნივთის დაბრუნებას. პალატა მიიჩნევს, რომ ავტომობილის მოპასუხისათვის მფლობელობაში გადაცემით შეწყდა მფლობელობითი გირავნობის უფლება. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს სკ-ის 272-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსიდან. მითითებული ნორმის თანახმად, მფლობელობითი გირავნობის უფლება წყდება იმ შემთხვევაში, როცა მფლობელობა დამგირავებელს უბრუნდება. მოპასუხისათვის ნივთის გადაცემით, კი, დადგა ზემოთ მითითებული ნორმით გათვალისწინებული შედეგი. აღნიშნული გარემოება თავისთავად გამორიცხავს სადავო ნივთზე გირავნობის უფლების არსებობას, რაც

შეუძლებელს ხდის მისი რეალიზაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას (გადაწყვეტილება №ას-483-457-2012 20.09.12).

სასამართლოს შეცდომა (ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან, სკ-ის 832-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/3852-10 16.02.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/4867-10 10.09.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, დაზღვეული ტვირთის ტრანსპორტირების პროცესში დაზიანების შედეგად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გამოსათვლელად არასწორად გამოიყენა სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა: მოცემულ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია არა გადაზიდვის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებების დარღვევის ფაქტზე, არამედ სკ-ის 832-ე მუხლით მოწესრიგებულ, მზღვეველის მიერ რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძველზე და, ვინაიდან ეს მუხლი არ ადგენდა მზღვეველის რეგრესული მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას, ამიტომ უნდა გამოყენებულიყო სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული საერთო ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სადავო შემთხვევაში დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მზღვეველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გადაცემის გამიჯვნას რეგრესული ვალდებულებისაგან. საკასაციო სასამართლომ მიუთითა სკ-ის 832-ე მუხლზე და განმარტა, რომ აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს არა რეგრესულ ვალდებულებას, არამედ შესაძლებლობას, რა დროსაც მზღვეველზე გადადის იმ მოთხოვნის უფლება, რაც გააჩნია დამზღვევს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ და ამ უფლების გადასვლა ხორციელდება მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში. მოთხოვნის უფლების ასეთი გადასვლა ცნობილია ე.წ. სუბროგაციის პრინციპის სახით. ამ შემთხვევაში მზღვეველი ცვლის ზიანის მიმყენებლის მიმართ მოთხოვნის უფლების მქონე დამზღვევს. მოთხოვნის დათმობით არ იცვლება არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, არ იცვლება არც მოთხოვნა, რომელიც შესაბამისი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს. მოთხოვნა ისეთივე მდგომარეობაში გადადის ახალ კრედიტორზე, როგორც იყო თავდაპირველი კრედიტორის ხელში. თუ აღმოჩნდება, რომ დამზღვევის მოთხოვნა ზიანის მიმყენებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულია, მაშინ ხანდაზმული იქნება მზღვეველის მოთხოვნაც. კრედიტორის შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას. საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მსგავს ვითარებაში მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით, რომლებიც არეგულირებენ დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებულ ურთიერთობას, კონკრეტულ შემთხვევაში კი, უნდა გამოყენებულიყო გადაზიდვის მარეგულირებელი ნორმები, ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი ხანდაზმული იყო (გადაწყვეტილება №ას-581-549-2011 05.09.12).

სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 150-ე მუხლი მე-2 ნაწილი; სკ-ის 171-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2223-11 20.07.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/536-11 08.04.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივარი, საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემის შესახებ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რადგან მოთხოვნის

აღძვრის დროისათვის უკვე აღარ არსებობდა საცხოვრებელი სადგომი, მისი დანგრევის შემდეგ კი, მის ადგილას ბინათმშენებლობის ამხანაგობის დაკვეთით წარმოებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად აშენდა სახლი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: პალატამ არ გაითვალისწინა, რომ სკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან. ამავე კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად, ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზეც. ამდენად, საცხოვრებელი სადგომი წარმოადგენს მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს. საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლის უფლება, კანონის თანახმად, ვრცელდება დათმობის გარიგების საფუძველზე, მის სარგებლობაში არსებულ საცხოვრებელ სადგომზე და, შესაბამისად, იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც უშუალოდ დგას ეს საცხოვრებელი სადგომი. აქედან გამომდინარე, ამ საცხოვრებელი სადგომის ნაცვლად ახალი ნაგებობის აშენების შემთხვევაში მოსარგებლის უფლება გავრცელდება, ასევე იმ მიწის არსებით შემადგენელ ნაწილზე, რომელზეც ვრცელდება მის მიერ მოპოვებული მოსარგებლის უფლება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა განჩინება და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (**განჩინება №ას-1448-1463-2011 01.03.12**).

სასამართლოს შეცდომა (მართლზომიერი მფლობელობის საფუძველი, სკ-ის 162-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/757-11 27.05.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/5633-09 22.10.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა რომ, თუ დევნილი რეგისტრირებულია მისამართზე, რომელიც მისთვის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს არ გამოუყვია, მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტი არ წარმოშობს სკ-ის 162-ე მუხლით გათვალისწინებულ მფლობელობის მართლზომიერ საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ და ასევე იმ დროს მოქმედი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე არ ხდება დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტიდან დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დევნილს ფართი თვითნებურად, კანონის დარღვევით აქვს დაკავებული. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ცნობით და მზარეთა ახსნა-განმარტებით, ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისად, არ დგინდება მოპასუხის მიერ ამ ფართით სარგებლობის მოპოვების მართლზომიერება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება (**გადაწყვეტილება №ას-1252-1272-2011 23.02.12**).

სასამართლოს შეცდომა (აუცილებელი გზა, სკ-ის 180-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-589 02.11.11) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№2/1225-2010 27.04.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად გამოიყენა სკ-ის 180-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ხსენებული ნორმით წესრიგდება სამეზობლო თმენის ვალდებულება, რაც წარმოადგენს საკუთრების კანონისმიერი ბოჭვის სამართლებრივ მექანიზმს. ამ ნორმით გათვალისწინებული ბოჭვის ამ ხარისხით გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ისეთი ობიექტური ფაქტორებით, რომლის არსებობის შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია მესაკუთრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება მეზობელი მიწის ნაკვეთით სარგებლობის გარეშე. სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით აუცილებელი გზის მხოლოდ აუცილებელ, უალტერნატივო შემთხვევებში დადგენა განპირობებულია საქართველოს კონსტიტუციით და ამავე კოდექსით აღიარებული საკუთრების უფლების თავისუფლებით, ამასთან, ამ უფლების შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ აუცილებელი ბოჭვის ფარგლებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა განჩინება და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (განჩინება №ას-6-6-2012 23.03.12).

სასამართლოს შეცდომა (კანონის ანალოგია, სკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/148 04.04.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს (№2-1125/2011 01.10.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას დაგირავებული ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაზე ანალოგიით გამოიყენა სკ-ის 274-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემული ნორმის ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია, ამას ცალსახად ნორმის სტრუქტურა ადასტურებს, იგი სპეციალურ სამართლებრივ ურთიერთობას აწესრიგებს. მოცემულ შემთხვევაში კანონის ანალოგიით გამოყენების საჭიროება არ არსებობდა, რადგანაც არსებობს ზოგადი ნორმა, რომელიც მოცემულ დავასთან დაკავშირებულ საკითხს მოიცავს. გარდა იმისა, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა ხსენებული ნორმა ანალოგიით, ასევე არასწორად განმარტა იგი, როდესაც მიიჩნია, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში დაუტვირთავი ქონება გადაეცემა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს, როგორც ნებისმიერი პირი და სამოქალაქო სამართლის სხვა სუბიექტების ანალოგიური უფლება-მოვალეობებით სარგებლობს. ამდენად, თავისთავად ის ფაქტი, რომ დაგირავებული ქონების მესაკუთრე გახდა სახელმწიფო, გირავნობის შეწყვეტას არ ნიშნავს (გადაწყვეტილება №ას-743-699-2012 08.10.12).

სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 429-431-ე მუხლები):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/533 24.08.11) ფოთის საქალაქო სასამართლოს (№2/78 30.03.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, ფულადი ვალდებულების შესრულების ფაქტის დადგენისათვის საკმარის მტკიცებულებად მიიჩნია მოწმის ჩვენება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 429-431-ე მუხლებში საუბარია ვალდებულების შესრულების მიღების ფორმებზე. კანონში კრედიტორის მიმართ არსებობს მეტად ცალსახა დამოკიდებულება – იგი ავალდებულებს მოვალის მოთხოვნის შემთხვევაში, გასცეს ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა კანონის ასეთივე მოთხოვნა არ არის მოვალის მიმართ. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით. ნორმაში

მიითითებული დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან მან მხოლოდ ამ დოკუმენტით შეიძლება, დაადასტუროს ვალდებულების შესრულება. არსებობს უამრავი ფაქტორი, რამაც შესაძლოა, განაპირობოს მოვალის მიერ ამ საბუთის მიუღებლობა, მაგალითად, მისი წინდაუხედაობა, პარტნიორის მიმართ გადამეტებული ნდობის არსებობა და ა.შ. საბოლოო ვაშში ეს ფაქტორები უკავშირდება მხარის რისკს და მთლიანად განაპირობებს მისი პასუხისმგებლობის არსებობა-არარსებობის ფაქტს. იგივე შეიძლება ითქვას სამოქალაქო კოდექსის 431-ე მუხლზეც, რომლის თანახმად, მოვალეს შესრულების შესახებ დოკუმენტთან ერთად შეუძლია, მოითხოვოს სავალო დოკუმენტის დაბრუნება ან გაუქმება. ასეთი დოკუმენტის გაცემის შეუძლებლობის შემთხვევაში კი, მოვალეს უფლება აქვს, მოითხოვოს ოფიციალურად დამოწმებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ვალდებულება შეწყვეტილია (**გადაწყვეტილება №ას-1541-1547-2011 19.04.12**).

სასამართლოს შეცდომა (ვალის არსებობის აღიარება, სკ-ის 341-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1091. 26.12.11) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№2/322-10. 12.11.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, მხარეთა მიერ შედგენილი ხელწერილი სკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებად არასწორად შეაფასა. როგორც თვით მოსარჩელე მხარის განმარტებით დასტურდება, ხელწერილით განისაზღვრა მხარეთა შორის უკვე არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე და სამომავლოდ შესასრულებელი ვალდებულების ფარგლები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეული მოქმედებების შესრულებას და, ამდენად, საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა. ვალის არსებობის აღიარებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს. ამდენად, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ და ამ გარეგნით გათვალისწინებული მოთხოვნის მიზანია, ადრე არსებული ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მიღება წინა ვალდებულების შინაარსის გათვალისწინებით, ასეთი აღიარება კაუზალურ აღიარებას წარმოადგენს და იგი თვისობრივად განსხვავდება სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული აბსტრაქტული აღიარებისაგან. საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 412-ე მუხლით, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად (**განჩინება №ას-413-391-2012 25.09.12**).

სასამართლოს შეცდომა (ვალდებულების შესრულების მიღება, სკ-ის 429-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/847-11 05.07.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/1295-10 02.02.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, კრედიტორის წერილი, რომელიც უდასტურებს მოვალეს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის კრედიტორის ანგარიშზე ორ ტრანშად ჩარიცხვის ფაქტს, გადახდის დამადასტურებელ მტკიცებულებად არ მიიჩნია. სასამართლოს შეფასებით, წერილის შინაარსი ბუნდოვანი იყო და

სადავო თანხის გადარიცხვის დასადასტურებლად დამატებით საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა მოითხოვა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: განსახილველი წერილი წარმოადგენს სკ-ის 429-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შესრულების მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც მოვალის მოთხოვნით გასცა კრედიტორმა და, რომელიც ადასტურებს მოვალის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ფაქტს. აქედან გამომდინარე, მოვალე არაა ვალდებული, დამატებით წარმოადგინოს საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აბსოლუტური საფუძველი (**განჩინება №ას-1323-1343-2011. 08.10.12**).

სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 314-ე მუხლი (დგრედ.):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1554-10 07.06.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/5132-07. 03.03.10) გადაწყვეტილებაზე, რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა თანხვედრაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, მხოლოდ მოპასუხეთა მხრიდან ნივთის ფლობის უფლება შეამოწმა და ისინი მართლზომიერ მფლობელებად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: 2007 წლის 23 მაისამდე მოქმედი სკ-ის 314-ე მუხლით განსაზღვრული იყო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა განისაზღვრებოდა რეგისტრაციის დროის თანამიმდევრობის მიხედვით. სსკ-ის 2007 წლის 11 მაისს განხორციელებული ცვლილებებით 314-ე მუხლი ამოღებულ იქნა, თუმცა მსგავსი შინაარსის ნორმა იმავდროულად აისახა ჯერ „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 14.4 მუხლში, ხოლო შემდგომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 13.4 მუხლში (მოქმედი რედაქცია). ამ მიმართებით ასევე გასათვალისწინებელია სკ-ის 1514-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, საჯარო რეესტრის სამსახურის ჩამოყალიბებამდე მიწის ნაკვეთების გასხვისება ფორმდებოდა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებში ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში. ამდენად, დასახელებული საკანონმდებლო რეგულაციები ითვალისწინებს და აწესრიგებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ერთსა და იმავე ნივთზე ორი თანაბარი დონის უფლებაა რეგისტრირებული. ამდენად, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ას-1406-1421-2011 17.02.12**).

სასამართლოს შეცდომა (ზიანის ანაზღაურება, სკ-ის 411-ე მუხლი):

სარჩელის თანახმად, მოსარჩელე ითხოვს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მკურნალობის ჩატარებით მიყენებულ მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/3458-11 26.06.12), თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/7196-11 09.09.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულების თანახმად, მკურნალობის თანხა მოსარჩელეს არ გადაუხდია და არც კლინიკას მოუთხოვია აღნიშნული თანხის გადახდა, მხარეს მაინც დააკისრა სადავო თანხა, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: კონკრეტული სადავო ურთიერთობის ფარგლებში განმარტებას მოითხოვს ზიანი, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი. ხსენებული წარმოადგენს დადებით, ანუ მატერიალიზებულ ზიანს, რაც ხელყოფის, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების (და ა.შ) შედეგია. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს არ გაუწევია სადავო თანხის დანახარჯი და არც მის მიმართ არ დგინდება კლინიკის მხრიდან სადავო თანხის გადახდის მოთხოვნის არსებობა, შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ ადგილი არა აქვს მოსარჩელის აქტივების შემცირებას, ასევე მისი ვალდებულებების (პასივები) გაზრდას. შესაბამისად, სარჩელით მოთხოვნილი თანხა არ წარმოადგენს ფაქტობრივად დამდგარ დანაკლისს (რეალურ ზიანს). ქონებრივი ზიანის თავისებურებების გათვალისწინებით, ფულადი ანაზღაურების მიზანია დაზარალებული მხარის ქონებრივი დანაკარგების კომპენსაცია, ხოლო სადავო თანხა არ წარმოადგენს მოსარჩელის ქონებრივ დანაკარგს. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დააკმაყოფილა (**გადაწყვეტილება №ას-457-433-2012 20.09.12**).

სასამართლოს შეცდომა (მორალური ზიანის ანაზღაურება, სკ-ის 413-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/2938-10 24.06.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/9184-09 08.06.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივარი, ხანძრის მიერ ქონების განადგურების მიზეზით, მოსარჩელის ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დააკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონი ზუსტად განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება დაზარალებულმა მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. ამდენად, კანონის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი. განსახილველ შემთხვევაში პირველადი ზიანი გამოწვეული იყო მოპასუხის ისეთი ბრალეული ქმედებით, რომლითაც ხელყოფილ იქნა მოსარჩელის არა ჯანმრთელობა, არამედ – ქონება. სკ-ის 413-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო, და არა – ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევებზე. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს (**განჩინება №ას-1156-1176-2011 20.01.12**).

სასამართლოს შეცდომა (ვალდებულების შესრულების მიღება, სკ-ის 429-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (28/1699-11 20.07.11) გორის რაიონული სასამართლოს (№2/889-10 29.03.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებაზე დაყრდნობით, ნასყიდობის თანხის გადახდის ფაქტი დადგენილად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 429-ე მუხლის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს

ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულების სპეციფიკისა და სამოქალაქო ბრუნვის თავისებურების გათვალისწინებით, თითოეული ხელშემკვერელი მხარე, ვალდებულების არსიდან გამომდინარე, თავადვე აგებს პასუხს იმ სამოქალაქო რისკის თაობაზე, რომელიც ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულების მოუპოვებლობას შეიძლება მოჰყვეს შედეგად. განსახილველი ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ვალდებულების შესრულების თაობაზე დავისას, მტკიცების ტვირთი მთლიანად ეკისრება მოვალეს, მან უნდა დაამტკიცოს, რომ ვალი გადაიხადა და ამით ვალდებულება შეწყდა (**განჩინება №ას-1363-1381-2011 31.01.12**).

სასამართლოს შეცდომა (საქონლის მიყიდვა რამდენიმე პირისათვის, სკ-ის 485-ე მუხლი):

სამშენებლო კომპანიის ბრალეული ქმედებით ერთი და იგივე საცხოვრებელი ბინა გასხვისდა ორ პირზე. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2151-10 09.03.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/8385-09 13.04.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, სადავო ბინა მიაკუთვნა მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატა მოიშველიებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (იხ. გადაწყვეტილება №ას-1274-1512-05 26.01.06) ანალოგიურ საქმეზე, სადაც დავის გადასაწყვეტად გამოყენებული იქნა სკ-ის 485-ე მუხლი, რომლის მიხედვით, თუ გამყიდველმა ერთი და იგივე საქონელი რამდენიმე პირს მიჰყიდა, უპირატესობა ეძლევა იმ მყიდველს, რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა იგი, ხოლო, თუ საქონელი არც ერთს არ გადასცემია, მაშინ - მას, ვისთანაც ხელშეკრულება უფრო ადრე დაიდო. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, რომ მოსარჩელის მფლობელობაში ოდესმე იყო ან ამჟამად არის სადავო ნივთი. შესაბამისად, საქმეზე დადგენილი იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სადავო ბინის თაობაზე პირველად ხელშეკრულება გაფორმდა მოპასუხესთან, კიდევ ერთხელ დასტურდება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სარჩელის უსაფუძვლობა (**გადაწყვეტილება №ას-719-678-2011 03.01.12**).

სასამართლოს შეცდომა (არასწორად გამოიყენა სკ-ის 623-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/4596-10 27.05.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/8449-09 16.11.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა არასწორად შეაფასა სესხის ხელშეკრულებად.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენდა ერთი მხარის მიერ ინვესტირების განხორციელებითა და მეორე მხარის მიერ სამუშაოების შესრულებით მოგების მიღება. სკ-ის 623-ე მუხლი და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიან სასესხო ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების შემადგენლობას, ვინაიდან სესხის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ფულის ან გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული სხვა ნივთის მსესხებლისათვის საკუთრებაში გადაცემა მსესხებლის მიერ იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთის დაბრუნების პირობით. როგორც წესი, სესხის ხელშეკრულების შინაარსში არ იგულისხმება სესხად გადაცემული თანხის მხოლოდ გამსესხებელთან შეთანხმებული პირობებით მონხარება. მართალია, სახელშეკრულებო თავისუფლების პირობებში ამგვარი შეთანხმებაც ვერ აიკრძალება, მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, ასეთ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია. ამდენად, მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმება, ერთი მხარის მიერ ინვესტირების,

ხოლო მეორე მხარის გარკვეული სამუშაოების განხორციელებით კონკრეტული, მხარეებისათვის სასურველი შედეგის მიღებაზე, წარმოშობილი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, სამოქალაქო კოდექსის სპეციალური ნორმებით მოწესრიგებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კანონს და მისი სამართლებრივი შეფასება ვალდებულებითი სამართლის ზოგადი დებულებებით უნდა განხორციელდეს. ამდენად, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და საქმე დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად (განჩინება №ას-1300-1320-2011 27.03.12).

სასამართლოს შეცდომა (არ გამოიყენა სკ-ის 872-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/-582-11 08.09.11) ოზურგეთის რაიონული სასამართლოს (№2/65-11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, ბანკთან დადებული საკრედიტო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას საპროცენტო სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე არ გამოიყენა სკ-ის 872-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ხსენებული ნორმა ითვალისწინებს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას საკრედიტო ურთიერთობის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში. იგი შეეხება როგორც კრედიტის მიმღების მიერ თანხის ვადამდე ნებაყოფლობით დაბრუნების, ისე, სკ-ის 873-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევას. ნებისმიერ მსესხებელთან საბანკო კრედიტის ხელშეკრულების გაფორმება ხდება იმ მოლოდინით, რომ ბანკი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოგებას მიიღებს. საპროცენტო განაკვეთი არის კრედიტის ფასი, რაც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან. მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ბანკს აძლევს საშუალებას, მოითხოვოს, როგორც დამდგარი ზიანის, ისე მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, რასაც სკ-ის 872-ე მუხლი მიუთითებს. კონკრეტული საპროცენტო განაკვეთი მოქმედებს, მხოლოდ იმ პერიოდში, როდესაც ფულადი რესურსი ბანკის სარგებლობაში არ იმყოფება. იმ მომენტიდან, როდესაც სესხის თანხა კრედიტის გამცემს უბრუნდება, მიუღებელი შემოსავალი აღარ არსებობს, რადგან კრედიტორს სრული შესაძლებლობა აქვს სხვაგვარად განკარგოს ეს თანხა (გადაწყვეტილება №ას-1586-1585-2011 21.02.12).

სასამართლოს შეცდომა (არასწორად განმარტა სკ-ის 942-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1058 07.12.11) სამტრედიის რაიონული სასამართლოს (№2/105-11 01.08.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა სკ-ის 942-ე მუხლი და მიიჩნია, რომ უძრავი ნივთით უზრუნველყოფილი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ნამდვილობისა და უფლების განხორციელებისათვის საკმარისია ხელშეკრულების სანოტარო წესით გაფორმება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მითითებული ნორმით გათვალისწინებული უძრავი ქონების გადაცემა უნდა განიმარტოს, როგორც სანივთო უფლების საკუთრების გადაცემა, რაც ამავე კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებულ წესებთან ერთობლივად უნდა განხორციელდეს, კერძოდ, სკ-ის 942-ე მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების გადაცემა იურიდიული ძალის მქონეა მხოლოდ მის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ. საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ვადას კანონი არ ადგენს. თუმცა, კერძო სამართლის სუბიექტმა ეს უფლება გონივრულ ვადაში თუ არ განახორციელა (რჩენის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებლობამ) შედეგად შეიძლება, სხვა

სუბიექტის მიერ ამავე ნივთზე მოგვიანებით წარმოშობილმა უფლებამ (მაგ.: მემკვიდრეობამ) გადაწონოს (გადაწყვეტილება №ას-185-178-2012 19.06.12).

სასამართლოს შეცდომა (არასწორად გამოიყენა სკ-ის 980-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/933-11 27.05.11) რუსთავის საქალაქო სასამართლოს (32/707-10 10.02.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად გამოიყენა სკ-ის 980-ე მუხლი, რადგან, მოცემულ შემთხვევაში, უძრავი ნივთი არ იძლევა იმის ობიექტურ შესაძლებლობას, რომ პირს იგი სამუდამოდ შეძენილად მიეჩნია, რადგან ასეთ ჩანაწერს საჯარო რეესტრი არ იძლევა, შესაბამისად, მოცემული დავის რეგულაცია მითითებული სამართლებრივი ნორმის საფუძველზე, დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: განსახილველ საქმეზე სრულად გამოირიცხება სკ-ის 980-ე მუხლის გამოყენება. ეს ნორმა გამოიყენება მაშინ, თუ მიმღებმა გასწია ხარჯები ან მას წარმოეშვა ქონებრივი დანაკლისი იმასთან დაკავშირებით, რომ საგანი სამუდამოდ შეძენილად მიაჩნდა, მაშინ იგი მოვალეა დააბრუნოს საგანი ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების პირობით. ეს წესი არ გამოიყენება, როცა გადაცემული საგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მიჩნეულ იქნეს სამუდამოდ შეძენილად. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესაბამისი წესები, კერძოდ, საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უნდა დაიდოს რთული წერილობითი ფორმით, რასაც უნდა მოჰყვეს მისი რეგისტრაცია. ამ მოთხოვნათა დაუცველობა, სკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, იწვევს ხელშეკრულების ბათილობას. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა სსკ-ის 987-ე მუხლით სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვის ქონებაზე გაწეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლები (განჩინება №ას-1245-1265-2011 31.01.12).

სასამართლოს შეცდომა (ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ, სკ-ის 1214-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-796 01.08.12) ოზურგეთის რაიონული სასამართლოს (№2/57 01.06.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას იხელმძღვანელა სკ-ის 1212-ე, 1214-ე მუხლებით, 1221-ე მუხლის მეორე ნაწილით და, მოპასუხის გაუმჯობესებელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მის მიერ გადასახადი საბანკო კრედიტის საფასურის გათვალისწინებით, გონივრულად მიიჩნია, დაკისრებული ალიმენტის 20 ლარით გაზრდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, როგორც მშობლების, ისე – შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას, რის შედეგადაც დაადგენს ალიმენტის ობიექტურ ოდენობას, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანის რეალურ და აუცილებელ მოთხოვნილებებს. მართალია, მოპასუხის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ამ უკანასკნელის კმაყოფაზე იმყოფება ახალ ქორწინებაში შეძენილი ორი არასრულწლოვანი შვილი. სადავო ალიმენტის ოდენობაზე, სასამართლოს განმარტებით, გავლენას ვერ მოახდენს მოპასუხის მიერ ყოველთვიურად კრედიტის დასაფარად დადგენილი გადასახადის გადახდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ

იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება სადავო ალიმენტის 40 ლარით გაზრდის თაობაზე (გადაწყვეტილება №1299-1266-2012 24.12.12).

სასამართლოს შეცდომა (ანდერძის ბათილობის შესახებ სარჩელის წარდგენის ვადა, სკ-ის 1409-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2345-10 03.11.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/6143-06 30.04.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა სკ-ის 1409-ე მუხლი. სასამართლოს მტკიცებით, მითითებული ნორმით გათვალისწინებული სპეციალური ხანდაზმულობის ვადა უნდა აითვალოს სამკვიდროს გახსნის დღიდან.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 1409-ე მუხლში მითითებული მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ იმ პირების მიმართ, რომელთათვისაც ცნობილი იყო ანდერძის არსებობის შესახებ. შესაბამისად, ეს მუხლი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირების მიმართ, რომელთაც არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდათ იმის თაობაზე, რომ არსებობდა ანდერძი და არსებობდნენ ანდერძით შემკვიდრები. ამდენად, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-15-15-2012 28.06.12).

სასამართლოს შეცდომა („სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/10-11 08.06.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/109-10 27.10.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად შეაფასა მოპასუხის მიერ პრესაში გამოქვეყნებული გამონათქვამები, როდესაც ისინი „ცილისწამებად“ მიიჩნია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ცილისწამების შემადგენლობის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გაგრცელება. ცილისწამების განსაზღვრისათვის აუცილებელი პირობაა, გაირკვეს, მოპასუხის მიერ გამოქვეყნებული წერილის სადავო გამონათქვამები მიეკუთვნება ფაქტებსა თუ შეფასებით მსჯელობას (აზრს). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ფაქტისა და აზრის გამიჯვნისათვის აუცილებელია გამიჯვნის კრიტერიუმების დადგენა. მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. როდესაც კერძო პირები მოღვაწეობენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების სფეროში, მათ მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ფართოვდება და მიჩნეულია, რომ ასეთ დროს, კრიტიკისადმი მათ მეტი მოთმინება მოეთხოვებათ. განსახილველ შემთხვევაში, ცალკე აღებული სადავო გამონათქვამები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ უხამსობად მიიჩნია, შესაძლოა, შეურაცხყოფელიც ყოფილიყო, მაგრამ საგაზეთო სტატიის მთელი კონტექსტის გათვალისწინებით, ეს გამონათქვამები უნდა შეფასდეს, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე თემატიკაზე საჯარო დისკუსიის დროს მოპასუხის მიერ საკუთარი შეხედულების მკვეთრი (უხეში) ფორმით გამოხატვა. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და გადაწყვიტა, რომ ასეთი გამოხატვის მიმართ მოსარჩელეს თმენის მეტი ვალდებულება გააჩნია, ამიტომ ეს გამოხატვა ექცევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და

გამორიცხავს მოპასუხის პასუხისმგებლობას (გადაწყვეტილება №ას-1278-1298-2011 20.02.12).

სასამართლოს შეცდომა (უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენა გარიგების საფუძველზე, სსკ-ის 183-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/2390 02.12.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/1882-2011 24.12.09) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, უძრავი ქონების სპს-ს საწესდებო კაპიტალში შეტანის ფაქტი დადგენილად მიიჩნია ინდივიდუალური აუდიტის მიერ საწესდებო კაპიტალში არაფულად შენატანად განსაზღვრული ქონების შეფასების აქტის, გასული წლების საზოგადოების ქონებრივი დეკლარაციებისა და საზოგადოების ყოფილი ბუღალტრის ჩვენების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 183-ე მუხლი კატეგორიულად ადგენს იმ მტკიცებულებათა წრეს, რომელთა მეშვეობითაც უნდა დადასტურდეს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შეძენა. ასეთი მტკიცებულებებია წერილობითი ფორმით დადებული გარიგება და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. სამოქალაქო კანონმდებლობა უძრავი ქონების შეძენის სხვა წესს არ იცნობს. მეწარმის მიერ საწესდებო კაპიტალში უძრავი ქონების შესატანად და მასზე საკუთრების უფლების შესაძენად რაიმე განსხვავებულ წესს არც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ითვალისწინებს. შესაბამისად, შეუძლებელია, საკუთრების გადასვლა ერთი პირიდან მეორეზე განხორციელდეს რაიმე სხვა წესით, გარდა სკ-ის 183-ე მუხლით დადგენილი წესისა (გადაწყვეტილება №ას-333-318-2012 19.07.12).

სასამართლოს შეცდომა (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/3922-11 29.02.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/6634-11 29.09.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დამსაქმებლის უფლებამოსილება, შეწყვიტოს მხარეთა შორის არსებული შრომის ხელშეკრულება, შეუზღუდავ უფლებად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: განსახილველი ნორმით მხარეთათვის მინიჭებული უფლებამოსილება შეზღუდვადია, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტური, შეუზღუდავი სამოქალაქო უფლება. იგი ყოველთვის შემოიფარგლება მისი განხორციელების მართლზომიერებით. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული უფლების გამოყენების მართლზომიერება უნდა შეემოწმებინა შრომის სამართლის ზოგად პრინციპებთან, კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტებით რეგულირებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან მიმართებით. ხოლო ამ უფლებათა დარღვევის შეფასება შეუძლებელია ხელშეკრულების მოშლის საფუძვლის არცოდნის შემთხვევაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დამატებითი დადგენის მიზნით სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს (განჩინება №ას-750-704-2012 22.06.12).

– შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის არასწორი განმარტების საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიერ გაუქმდა შემდეგი საქმეები: №ას-1122-1053-2012 22.10.12; №ას-545-513-2012 05.10.12; №ას-979-920-2012 01.11.12; №ას-996-935-2012 10.12.12; №ას-1297-1224-2012 19.11.12.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №28/334-12 28.05.12; №28/1040-11 30.01.12; №28/1449-12 15.05.12; №28/534-12 14.05.12.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2/ბ-627 29.06.12.

გადაწყვეტილებები კი შემდეგი პირველი ინსტანციის სასამართლოებმა მიიღეს: თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/4467-11 04.11.11; №2/11612-10 28.12.10; №2/12449-11 10.01.12); გორის რაიონულმა სასამართლომ (№2/725-11 28.02.12); ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (№2/1636 15.12.11).

სასამართლოს შეცდომა (შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/1143-11 30.06.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/2602-10 19.11.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, ბათილად არ ცნო სადავო ბრძანება, რომლითაც შრომით ხელშეკრულებაში დამსაქმებლის მხრიდან ცალმხრივად შევიდა ცვლილება დასაქმებულის ახალ თანამდებობაზე გადაყვანისა და ანაზღაურების წესის შეცვლის თაობაზე.

საკასაციო პალატის განმარტება: შრომის ანაზღაურების წესი ხელშეკრულების არსებითი პირობაა. შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით, ამდენად, აღნიშნული ნორმა ცხადყოფს, რომ ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება, თუ მხარეები მის არსებით პირობებზე არ შეთანხმდებიან. თავად მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც ჩადებულია პუნქტი, რომელიც ხელშეკრულების პირობების ცვლილებაზე 2 კვირით ადრე წერილობით შეთანხმებას ითვალისწინებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიიღო ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე (გადაწყვეტილება №ას-1429-1444-2011 01.03.12).

სასამართლოს შეცდომა („საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის პირველი მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/1385-11 04.06.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/11714-10 15.05.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად გამოიყენა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის თანახმად, კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის მხოლოდ 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე პერიოდისათვის წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს. სადავო ხელწერილი კი, დადებულია 1997 წლის 27 ოქტომბერს და, შესაბამისად, არ ექცევა ამ კანონის მოქმედების სფეროში. ამდენად, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ას-1271-1291-2011 10.04.12).

სასამართლოს შეცდომა (არასწორად გამოიყენა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-1022 30.11.11) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№2/958-2011 05.08.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად შეაფასა სადავო ხელწერილი და არასწორად მიიჩნია იგი საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებად. ამასთან, სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად არასწორად გამოიყენა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: დასახელებული ხელშეკრულების შინაარსიდან ნათლადაა გამოკვეთილი გარიგების მიზანი – სესხად გადაცემული თანხის სარგებლის სანაცვლოდ ბინის გამოსაყენებლად გადაცემა. ამდენად, მესაკუთრემ დროებით სარგებლობაში თანხის მიღების სანაცვლოდ, ასევე დროებით სარგებლობაში გადასცა ბინა მოსარგებლეს. ასეთი სახელშეკრულებო ურთიერთობა, როგორც ხელშეკრულების დადების დროს, ისე, ამჟამადაც, ფართოდ გავრცელებულია და საზოგადოებაში დამკვიდრებული პრაქტიკით სახელდება, როგორც „ბინის გირავნობა“ (თუმცა ასეთი ხელშეკრულება იურიდიულად არც გირავნობის ნიშნებს არ შეიცავს, მიუხედავად მისი სახელწოდებისა და არც საცხოვრებელი სადგომის მუდმივ დათმობაზე შეთანხმებას არ წარმოადგენს), ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ხელწერილი არ შეიძლება შეფასდეს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებად, შესაბამისად, არ არსებობს ზემოხსენებული სპეციალური კანონის საფუძველზე სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა (გადაწყვეტილება №ას-198-191-2012 23.07.12).

სასამართლოს შეცდომა („საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-8 ქვეპუნქტი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1811-11 18.10.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/4245-09 28.02.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-8 ქვეპუნქტი და მიიჩნია, რომ საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების მოთხოვნის უფლება, ადმინისტრაციული აქტით შესახლებული პირების გარდაცვალების შემთხვევაში არ გადადის მათ უფლებამონაცვლესა თუ მემკვიდრეზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ხსენებული კანონის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტი, არავითარ დათქმას არ იძლევა (არ კრძალავს) უფლებამონაცვლეობის თაობაზე. სამოქალაქო კოდექსი კი, ასეთ შემთხვევასთან დაკავშირებით ამგვარ დათქმას იძლევა, 157-ე მუხლის თანახმად, მფლობელობა მემკვიდრეებზე გადადის იმავე სახით რა სახითაც არსებობდა იგი მამკვიდრებელთან. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე მემკვიდრე აღიჭურვება იმავე უფლებებით, რაც აქვს მამკვიდრებელს. იგივე დასკვნის გამოტანა შეიძლება სკ-ის 1328-ე მუხლის მიხედვითაც, რომლის თანახმად, საკვიდრო შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების, ასევე მოვალეობების ერთობლიობას, რაც მამკვიდრებელს ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. შესაბამისად, ფართის დათმობაც გარკვეული სასყიდლის სანაცვლოდ ადამიანის ქონებრივ უფლებას წარმოადგენს და ამ უფლების რეალიზაცია არ შეიძლება შეიზღუდოს. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და

საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ას-10-10-2012 28.06.12).

სასამართლოს შეცდომა (არასწორად გამოიყენა სკ-ის 1323-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2035-10 21.02.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/5810-09 30.03.10) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას სადავო ქონება არასწორად მიიჩნია საკომლო მეურნეობის საკუთრებად, გააიგივა რა საბჭოთა კანონმდებლობით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო კომლი და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საკომლო მეურნეობა და სამკვიდროს გახსნასთან დაკავშირებულ დავაზე გამოიყენა სკ-ის 1323-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: 1993 წლიდან, მას შემდეგ, რაც გაუქმდა საკომლო მეურნეო კომლი და მას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა, ქონება, რომელიც საკომლო მეურნეო კომლის ქონებას და ამავე დროს კომლის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, აღარ წარმოადგენს საკომლო მეურნეო კომლის ქონებას და იგი არის კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრება თანაბარი წილით, რომელზეც ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრებაზე მემკვიდრეობა მიიღება სამკვიდროს განსნის ზოგადი წესების მიხედვით და ამ დროს არ გამოიყენება სკ-ის 1323-ე მუხლით დადგენილი გამონაკლისი. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სკ-ის 1323-ე მუხლი არ გამოიყენება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკომლო მეურნეობის მიმართ, ვინაიდან ეს უკანასკნელი სპეციალური კანონით რეგულირებული ახალი ინსტიტუტია და იგი არ არის სამოქალაქო კოდექსის ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული კომლის იდენტური. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით (1964 წლის რედაქციით), რომელიც კომლის ინსტიტუტის დეტალურ სამართლებრივ რეგულაციას შეიცავდა, ახალი სამოქალაქო კოდექსი ასეთ რეგულაციას არ გეთავაზობს და ადგენს მხოლოდ სამკვიდროს განსნის ზოგადი წესისაგან განსხვავებულ დანაწესს სამკვიდროს განსნის დროსთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ას-724-782-2011 10.09.12).

სასამართლოს შეცდომა (არასწორად განმარტა სსკ-ის 170-ე და 172-ე მუხლები და არ გამოიყენა „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 30-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2664-11 20.03.12) ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას იხელმძღვანელა სსკ-ის 170-ე და 172-ე მუხლებით და „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით და სასარჩელო მოთხოვნა საკადასტრო აზომით ნახაზში ცვლილების შეტანის თაობაზე დააკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააპელაციო სასამართლომ ისე გამოიყენა სკ-ის 170-ე და 172-ე მუხლები, რომ არ დაადგინა წარმოადგენდა თუ არა მოსარჩელე სადავო მიწის

ნაკვეთის მესაკუთრეს, იყო თუ არა მოპასუხე მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ნივთის მფლობელი და გააჩნდა თუ არა მოპასუხეს ამ ნივთის ფლობის უფლება. საკადასტრო აზომვითი ნახაზის ხარვეზიანობის დადგენა არ არის საკმარისი მოსარჩელის მიერ თავისი უფლების რეალიზაციისათვის, მნიშვნელოვანია გაირკვეს თუ მოსარჩელის რომელი უფლება დაირღვა და დაზუსტდეს, მისი მოთხოვნა წარმოადგენს ხელშეშლის აღკვეთას თუ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას. „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 30-ე მუხლის თანახმად, საკადასტრო აზომვითი ნახაზის სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრება უძრავი ნივთის მესაკუთრეს. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს სათანადო მოპასუხის შეცვლის საკითხზე, რადგან სარჩელი აღძრულია როგორც მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, ისე უძრავი ქონების საამშობველო კომპანიის მიმართ (**განჩინება №ას-740-696-2012 08.11.12**).

სასამართლოს შეცდომა (დივიდენდის მოთხოვნის უფლება):

მოსარჩელემ შპს-ში მისი კუთვნილი წილის გასხვისების შემდგომ მოითხოვა გასული წლების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე კუთვნილი დივიდენდი, რომლის მიღებაც საქმის მასალების თანახმად, პარტნიორობის პერიოდში არ მოუთხოვია. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/397 10.06.11) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს (№2-548 25.02.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა, რომ ზემოაღნიშნული გარემოება სარჩელის დაკმაყოფილებას შეუძლებელს ხდიდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების არსებობა დივიდენდების განაწილების თაობაზე არ წარმოშობს კონკრეტული პარტნიორის მიერ მისი ავტომატურად მიღების ვალდებულებას. მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება მოიცავს, როგორც დივიდენდის მიღების, ასევე – დივიდენდის მოთხოვნის უფლებას. პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან. დივიდენდის მიღების უფლება განუყრელად არის დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა, წილისაგან დამოუკიდებლად, დაუშვებელია. ამდენად, წილის გასხვისების შემდეგ, შემქმნს გადაეცემა ამ წილიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნა. რაც შეეხება კონკრეტულად დივიდენდის მოთხოვნის უფლებას, მისი დათმობა შესაძლებელია ცალკე უფლების სახით წილის გადაუცემლად, ხოლო, წილის გასხვისების შემთხვევაში, თავდაპირველი მესაკუთრის მიერ არარეალიზებული დივიდენდის მოთხოვნის უფლება ასევე გადადის წილის შემქმნეზე, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და საქმეზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება (**გადაწყვეტილება №ას-1343-1361-2011 31.01.12**).

სასამართლოს შეცდომა (სპს-ში არსებული წილის გაყოფა მეუღლეთა განქორწინებისას):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/3183-11 16.11.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/845-11 08.08.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივარი, მეუღლეთა განქორწინებისას სპს-ში არსებული წილის გაყოფასთან დაკავშირებით, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების საფუძველზე გადაწყვიტა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: განსახილველი დავა უნდა გადაწყდეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონისა და საზოგადოების წესდების საფუძველზე. იმის გათვალისწინებით, რომ სპს ემყარება სპეციალურ პირად და ქონებრივ დამოკიდებულებას პარტნიორებს შორის, კანონმა დაადგინა გარკვეული შეზღუდვები, რომლითაც დაცულია დანარჩენი პარტნიორების ინტერესები ახალი პარტნიორის საზოგადოებაში შესვლასთან დაკავშირებით. როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე საზოგადოების წესდებითაც დადგენილი წესის თანახმად, წილი-კაპიტალის დათმობისას საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება და დანარჩენი პარტნიორების თანხმობა, უამისოდ დათმობის ხელშეკრულება ბათილია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატას უნდა დაედგინა დანარჩენი პარტნიორების თანხმობის არსებობა წილის გაყოფის შედეგად ახალი პარტნიორის მიღებაზე, ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი, მეუღლეს უნდა მიეცეს წილის ნახევრის ღირებულება (განჩინება №ას-97-93-2012 28.06.12).

3. დასკვნა

ამდენად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების საკასაციო წესით გაუქმების საფუძველია ქვემოთ ჩამოთვლილი შეცდომები:

- დარღვეულია ასკ-ის მე-2 და 26-ე მუხლებით, ასევე – სკ-ის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები;
- დარღვეულია სსკ-ის 53-ე მუხლის მოთხოვნა, სახელმწიფო ბაჟი არასწორად არის გადანაწილებული მხარეთა შორის;
- სსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნათა უგულებელყოფით არასწორად იქნა გადანაწილებული მტკიცების ტვირთი;
- საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება არ არის შეფასებული სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით;
- არასწორად გამოიყენა სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი;
- არასწორად განმარტა სსკ-ის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი;
- აღიარებითი სარჩელის განხილვისას არ არის გამოკვლეული სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესის არსებობა;
- სააპელაციო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუმცა მხარის მოთხოვნა არ იყო იურიდიულად დასაბუთებული (სსკ-ის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილი);
- სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 232¹-ე მუხლი და არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველები;
- სააპელაციო სასამართლომ გასცდა სსკ-ის 248-ე მუხლით დადგენილ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებს;
- არასწორად გამოიყენა სსკ-ის 380-ე მუხლი. სასამართლომ ისე დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა ახალი მოწმეების დაშვების თაობაზე, რომ არ იმსჯელა გააჩნდა თუ არა აპელანტს სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულების წარდგენის კანონით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი;

- არასწორად გამოიყენა სსკ-ის 385-ე მუხლი. ისე დააბრუნა საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომ არ იმსჯელა, თუ რამ განაპირობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა დაბრუნების აუცილებლობა;
- სამოტივაციო ნაწილი არ არის იურიდიულად დასაბუთებული სსკ-ის 249-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით;
- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაში რისკების შეფასების გარეშე შეიტანა ცვლილება (სსკ-ის 196-ე მუხლი);
- დარღვეულია სკ-ის მე-5 მუხლის მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლომ სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა ანალოგიით გამოიყენა;
- სააპელაციო სასამართლომ არასწორად აითვალა სკ-ის 130-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა;
- არასწორად დაადგინა სკ-ის 162-ე მუხლით გათვალისწინებული მფლობელობის მართლზომიერების საფუძველი;
- სასამართლომ ისე დაადგინა სკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული აუცილებელი გზა, რომ ამ მუხლის გამოყენებისათვის ობიექტური ფაქტორის არსებობა სრულად არ გამოუკვლევია;
- არასწორად მიიჩნია ხელწერილი სკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებად;
- არ გამოიყენა სკ-ის 485-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა ერთსა და იმავე საქონლის რამდენიმე პირისათვის მიყიდვის შედეგებს;
- სასამართლომ ჯანმრთელობის ბრალეული ხელყოფის შედეგად, მკურნალობის ჩატარებით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხეს არასწორად დააკისრა სადავო თანხა. გამოდინარე იქიდან, რომ დაზარალებულს არ გაუწევია სადავო თანხის დანახარჯი და არც მის მიმართ დგინდება კლინიკის მხრიდან სადავო თანხის გადახდის მოთხოვნის არსებობა, ანუ, ადგილი არა აქვს მოსარჩელის აქტივების შემცირებასა და მისი ვალდებულებების გაზრდას (სკ-ის 411-ე მუხლი);
- არასწორად განმარტა სკ-ის 413-ე მუხლი, რომელიც ეხება ზიანის ანაზღაურებას არაქონებრივი ზიანისათვის;
- სააპელაციო სასამართლომ ნასყიდობის გადახდის ფაქტი დადასტურებულად მიიჩნია მოწმეთა ჩვენების საფუძველზე, რითაც უგულებელყო სკ-ის 429-ე მუხლის მოთხოვნა;
- ერთსა და იმავე უძრავი ქონების ორ პირზე გასხვისების შემთხვევაზე დავის გადასაწყვეტად სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა უზენაესი სასამართლოს მიერ ანალოგიურ საკითხზე უკვე დადგენილი პრაქტიკა;
- სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა არასწორად შეაფასა სესხის ხელშეკრულებად. განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენდა ერთი მხარის მიერ ინვესტირების განხორციელებითა და მეორე მხარის მიერ სამუშაოების შესრულებით მოგების მიღება. ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიან სკ-ის 623-ე მუხლით დადგენილ სასესხო ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების შემადგენლობას;
- გამოდინარე იქიდან, რომ გადაცემული საგანი არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ იგი სამუდამოდ შექმნილად მიჩნეულიყო, სააპელაციო სასამართლომ დავის გადასაწყვეტად სკ-ის 980-ე მუხლი არასწორად გამოიყენა;

- არასწორად განმარტა სკ-ის 1409-ე მუხლი, რომელიც ეხება ანდერძის ბათილობის შესახებ სარჩელის წარდგენის ვადას;
- სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის მიერ გამოქვეყნებული გამონათქვამები ცილისწამებად შეაფასა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშული გამონათქვამები არ შეიცავდა „ცილისწამების“ შემადგენლობის უმთავრეს ელემენტებს (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი);
- შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დამსაქმებლისათვის მინიჭებული უფლებამოსილება, შეწყვიტოს მხარეთა შორის არსებული შრომის ხელშეკრულება, სააპელაციო სასამართლომ შეუზღუდავ უფლებად მიიჩნია;
- სასამართლომ არ გაითვალისწინა კანონის იმპერატიული მოთხოვნა, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების არსებობა დასტურდება მხოლოდ სკ-ის 183-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების არსებობისას;
- სასამართლომ არასწორად შეაფასა სადავო ხელწერილი და არასწორად გამოიყენა კანონი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“;
- არასწორად განმარტა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტი და სკ-ის 1328-ე მუხლი და მიიჩნია, რომ საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების მოთხოვნის უფლება, ადმინისტრაციული აქტით შესახლებული პირების გარდაცვალების შემთხვევაში, არ გადადის მათ მემკვიდრეებზე;
- არასწორად განმარტა სსკ-ის 170-ე და 172-ე მუხლები და არ გამოიყენა „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის 4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 30-ე მუხლი;
- მეუღლეთა განქორწინებისას სპს-ში წილის გაყოფასთან დაკავშირებულ დავაზე, სააპელაციო სასამართლომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ნაცვლად სამოქალაქო კოდექსით იხელმძღვანელა.

**სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა
და განზოგადების განყოფილება**